GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 49
თარიღი: 7 05 2018 წ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000033416433618

№4012
30 / აპრილი / 2018 წ.

ა(ა)იპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)
დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს

მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27, ბ. N1

ბატონო პაატა,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2018 წლის 16 აპრილის N65 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/8941, 19.04.18) წერილის პასუხად გეგზავნებათ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია:

საქართველოს პრეზიდენტს ირაკლი თეიმურაზის ძე ქორიძის შეწყალების თხოვნით (შუამდგომლობით) მიმართეს მსჯავრდებულის ოჯახის წევრმა (N40988, 02.12.2013წ.), საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ (N16/698, 16.12.2013წ.) და თავად მსჯავრდებულმა, რომლის განცხადება შეწყლების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადმოიგზავნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებიდან გამოთხოვილ პირად საქმესთან ერთად.

2014 წლის 15 იანვარს შეწყალების საკითხთა კომისიამ, როგორც განსაკუთრებული გარემოება, განიხილა ირაკლი თეიმურაზის ძე ქორიძის საქმე და გასცა დადებითი რეკომენდაცია მსჯავრდებულის საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ. შეწყალების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმში, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტის მიერ კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გამოცემულ 2014 წლის 19 იანვრის N19/01/01 განკარგულებაში ი. ქორიძის შეწყალების მოტივი მითითებული არ არის.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჭითაშვილი